



კომუნისტი

რედაკცია და კანტორა მოთავსებულია
პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში.
თვიური ხელისმომწვრობათვის გაზეთი
ლირი 200 მან.

წასი 10 მან.

„იენისის დეპეხები (1848 წ.)
 პარტიის პარტოლატიის შეი-
 ჳნაპეპული აჯანყება ბურჟუ-
 სიის წინააღმდეგ) ყველა კლა-
 სეები და პარტიები გაერთინ-
 დენ წესურების პარტიები წი-
 ნააღმდეგ პროლეტარული კლა-
 სის როგორც ანარქიის, სო-
 ციალიზმის, კომუნისმის კლა-
 სისა. მათ გადაარჩინეს სასო-
 გადობა „სასოგადობის მტრე-
 ბისგან“. ქვედა სასოგადობის
 დეპეხები: კერძო საკუთრება,
 ოჯახი, რელიგია, წესიერება
 მათ განადგინეს თავისი ჯარის
 ღალატით“...

კ. მარქსი 18 ბრუემერი ლუი ბონა-პარტიისა.

არ ჩხანიათ, თუხა უკვე უკინიათ!

გასულ ოთხშაბათს საქართველოს სო-
 ჳების ეროვნულმა საბჭომ, რომელშიც
 დაწესდნები არიან მოკალაბებულები,
 დემონსტრაცია-მიტინგები გამართა თბი-
 სისის ქუჩებზე და მოედნებზე ქემალი-
 ტების სომხეთზე შეტევის წინააღმდეგ
 საპროტესტო. დაწესდნებმა ყველა
 თბილისის მოქალაქეებს მოუწოდეს იმ
 დღეს მუშაობა შეწყვიტათ და ქუჩაში
 გამოსულიყვნ. საგნებით კანონიერი გან-
 ჳარება იყო, არაჩეულებრივი მასში არა-
 ჳერი ყოფილა მიუხედავად ამისა, რომ
 ჩვენებური დემოკრატიის ე. წ. ქვეშე-
 შვედრობის კანონი და დემოკრატიის
 გენერალ-გუბერნატორის განმარტება სა-
 ჳართველოდან ერეკება ყოველ სომხს
 და სხვა ერ ოცნების წარმომადგენელს,
 რომელიც კი გაბედავს „პოლიტიკოსთან“
 ახლოს გაკარებას, პოლიტიკურ პარტიაში
 წევრთა ჩაწერასაც კი. მაგრამ ყველამ
 იცის, რომ აკრძალულ პოლიტიკათ და
 აკრძალულ პოლიტიკურ პარტიათ ჩვენ
 ში ითვლება და იგულისხმება მხოლოდ
 კომუნისტური პოლიტიკა და კომუნის-
 ტური პარტია. და რა კი მიტინგები და
 დემონსტრაციები მიმართულ იქნებოდა
 არა მარტო ოსმალების ნაციონალური
 მთავრობის და მისი შემომტევი ჯარის
 წინააღმდეგ, არამედ კომუნისმის პარ-
 ტებულ საბჭოთა რუსეთის წინააღმდე-
 გაც—ამა ვის მოუვიდოდა ახრათ ადრევე
 დაიჭნა: ფრთხილად კონსულებო! არა-
 ვის დაუბახი და მიტინგ დემონსტრაცი-
 ები შედგა. შედგა არა მარტო დაწნა-
 კელთა, არამედ ქართველ მენშევიკების
 ოქროპირების მონაწილეობითაც: თვით
 მენშევიკების მირაბო, დამფუძნ. კრების
 თავმჯდომარე ლომთათიძე ქუხთა და ნა-
 ბერძნეებს ისროდა ტრიბუნდან, თვით
 მენშევიკების ლაფაიტი, სახალხო გვარ-
 დის უფროსი ჯუღელი მთელს მსოფ-
 ჳლით მიუქრებოდა ძლიერების ჩამტეი-
 ვით! მიუხედავად ამისა პრესის მაინც
 პირში წყალი ჩაუყენეს, ანვარების
 გამოქვეყნება შინ. სამინისტროს გან-
 კარგულებით აუკრძალეს. აკრძალეს
 სწორედ ამის გამომწვრება, რაც
 ქართველ დემოკრატიის ოქროპირე-
 ბიდან ამოვიდა. ნუ თუ ქებულ დე-
 მოკრატიისათვის საინტერესო აღარ
 არის ბ. ბ. ლომთათიძის და ჯუღელის

პოლიტიკური სიბრძნით აღსავსე სიტყ-
 ვები. ნამეტურ უკანსენლის, რომელმაც
 რუსეთის მისიის სადგომის წინ განარ-
 თულ მიტინგზე მხატვრულათ შეადარა
 დაწნაქელთა წითელი დროშა მისიის
 აივანზე გადმოკიდულ სახელმწიფო წი-
 თულ დროშას და ამ უკანსენლის წი-
 თული ფერი მტარვალ ბალშევიკების
 მიერ დაქცეულ მუშების სისხლს მიწე-
 რა?

და განა იოც აღარაა საინტერესო
 პოლიტიკურ დემოკრატიისათვის, რომ
 დაწნაქელთა და ლომთათიძე-ჯუღელის
 ქვეშეარტ სოციალისტურ მიტინგის მო-
 ნაწილეთა შორის გაიხსნა ასეთი ქეშა-
 რიტი დემოკრატიული და სოციალის-
 ტური გამოძახილი რუსეთის მისიის
 მიმართ: **„Жиды! бей жиды!..“** ოღონდაც
 რომ საინტერესოა, თუმცა ახალი არა
 ფერი თქმულა ამ მიტინგზე: გაიხსო-
 რეს ის, რაც ყოველ დღე, ყოველ საათში
 ესმოდა და ესმის, კითხულობდა და კი-
 თხულობს მენშევიკების ქვეშევრდომი.
 მიუხედავად ამისა მიტინგების ანგარი-
 შები მაინც არ მიაკარეს მას.

ნუ თუ შეიცვალა ძველი, ამავფერი ფორმულია: „არც არაფრის გვრცხვენია არც არაფრის გვეშინია!“ ნუ თუ ცოტა ცვილებია შეტანილი ამ დემოკრატიულ დებულებებში, და ის ახლა ასე უნდა წვივთობოთ: „თუმცა არაფრის გვრცხვენია, მაგრამ უკვე გვეშინია.“ რისი ან ვისი ეშინიათ მათ, ვინც სამიტინგოთ უშვებს ბ. ბ. ლომთათიძე ჯუღელს და შემდეგ კი მათ გასროლილ ისარ-შუბის დამალვას ფიქრობს დაგლეჯილ დემოკრატიზმის ხალათში?

საბჭოთა რუსეთის პრესა. ჩვენი პარტიისათვის!

პარტიულ მუშაობისათვის, პარტიული
 დისციპლინისა და პარტიის გასამარტე-
 ღად მუშაობის კვირა უკვე დაიწყო. ამ
 მხრივ არის მიმართული მთელი ჩვენი
 პარტიული ძალიერი, ამ მხრივ მოვე-
 პრდებივართ მთელი ჩვენი პარტიული ორ-
 განიხაცების საქე. ეს მუშაობა უნდა
 ვაწარმოოთ ჩვენი დიდი ენერჯით.

ამ დროდის ჩვენ ჯერ კიდევ ვერ
 გადავხარშეთ და სულიერათ ვერ გადა-
 ვამუშავეთ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა
 პარტიული ამხანაგი. რადგან ჩვენ დღე-
 დღედლე პირობებში იძულებული ვართ
 საუკეთესო ჩვენი პარტიული ძალები
 ათსანადი სხვა და სხვა ფრონტებზე გაე-
 ჳანეთ, ამიტომ თვით პარტიის გასა-
 უმჯობესებლათ მუშაობა შემცირდა, იმ
 პარტიის, რომელიც რევოლიუციის გი-
 განტური ძლევა მოსილი ხერხემლის
 ძვალია. ეხლა კი ჩვენ ენერჯიული ხე-
 დით უნდა გავსწმინდოთ პარტია, შევა-
 კეთოთ, შევალამაზოთ ის, ათჯერ და
 ასჯერ გავამტკიცოთ მისი ორგანიზა-
 ციული მთლიანობა, და ბევრათ უფრო
 მაღლა უნდა აგწვიოთ მისი წითელი
 დროშა.

მხოლოდ ცუდით მოხეტიალე კრიტი-
 კოსებს, იმ ხალხს, რომელთაც მხოლოდ
 მწუხარეთ ამოთხერა შეუძლიათ, ექნება
 იმის ნება, რომ ჩვენსუ საყვედურები
 სთქვას. მუშების მიერ ძალა უფლების
 დაპყრობის შემდეგ ჩვენი ვალია: ბრძო-
 ღა და შენება! ჩვენ უნდა აღვზარდოთ
 და გადავაშუშოთ ჩამორჩენილები. ჩვენ
 უნდა შევექმნათ სულ ახალი და ახალი
 პარტიული რიგები, რომლებშიც ფოლა-
 დისებური სიმაგრის მეტროფები იქნე-
 ბიან. ჩვენ არ ვხალავთ ჩვენ სამხედრო
 მარცხებს. ამ გვართე ჩვენ არ დავმა-
 ღავთ ჩვენს შინაგან ავითმყოფობებსაც.
 ჩვენ ყველაზე უკეთ გვიყვარს ჩვენი

პარტია, რომელიც ინტერნაციონალის
 სიამაყეა, ის პარტია, რომელიც „ბოლ-
 პოლიეს“ პატარა ჯგუფიდან წარმოსდ-
 გა, მაგრამ უძლეველი ძალით გადაიქცა,
 რომელიც მთელი ქვეყნის ბედზედას
 ხელმძღვანელობს. ჩვენ გვიყვარს ჩვენი
 მეტროფი პარტია, რომელიც არ გამო-
 სულა, არ მოსილებია ბრძოლის ცეცხ-
 ლის რკალს; ის პარტია, რომელიც კა-
 პიტალისადმი შურის ძიების გრძობით
 არის აღსავსე.

და თუ რომ ჩვენს პარტიულ სხეულზე
 იარები იქნება, ჩვენ მას ყოველივე სა-
 შუალებებით, რაც კი ჩვენ განკარგე-
 ღებავართ, უწამლებთ. ეხლა, როდესაც
 ჩვენი პარტიული რიგები შეთხეღდენ,
 როდესაც ჩვენი ამხანაგები დაიღუპნენ
 ბრძოლის ველებზე და სამუდამით და-
 ხუქეს თვლები, იმ დროს, როდესაც
 ჩვენ ახალ, უფრო მძიმე განსაცდელს
 ვეგებებით—ამ დროს ჩვენი პარტიულ
 რიგებში უნდა ჩადგენ ახალი ამხანაგე-
 ბი. ნუ თუ ჩვენი ფრონტზე დამარცხება,
 მოუსავლობა და ცივი ზამთარი იძუ-
 ღებულს გავხდის ჩვენ, რომ გულ ხელი
 დავიკრიფოთ? არა და არა! ტყუილათ
 ნუ ელოდებიან ამ დღეს ჩვენი მტრები.
 ჩვენ პროლეტარიატის პარტია ვართ,
 რომელიც არასოდეს არ დაიკრფს
 გულზე ხელებს. მტრის ყოველივე შე-
 მარტვას ჩვენ უპასუხებთ მთელი ჩვენი
 ენერჯის და ძალების შექმნილი. ჩვენ
 წინაპრებს შეეძლოა ეთქვათ თავის
 თვის: ჩვენ ვკვდებით, მაგრამ ჩვენ არ
 დავნებდებით, ფარხმალს არ დავყრი-
 მტრის წინაშე. ჩვენ კი უფლება
 გვაქვს ვთქვათ: ჩვენ არ ვკვდებით
 და არც მტრის დავენებებით და არც
 ფარ ხმალს დავყრით მათ წინაშე. ჩვენ
 გვირგვინით და ჩვენ კიდევ გავიმარჯვეთ
 მტრებზე.

პარტიის გასამარტებლათ მოწყობილ
 კვირაში—ჩვენს მშობლიურ ორგანიზა-
 ციას უძლეველ, ფოლადისებური სისე-
 რის მექანიზმით გადავატკევთ, რომე-
 ღიც ალფროთიანებულთ იქნება ახალი
 ბრძოლების, ახალი საქმიანობის დასა-
 წყებათ. ჩვენ შევეფრთხებით ჩვენს სათა-
 დარიგო ძალებს, გადავსინჯავთ მას,
 გადავაკეთებთ ჩვენს პარტიულ რიგებს,
 გავამხმენებთ დალილებს, გონებას
 გაუნათებთ ჩამორჩენილებს, ახალ ცხო-
 ველზყოფთ ძალებს შეგმატებთ ჩვენს
 პარტიას, ახალი მოვიდასებობთ, რაც
 ზღმდები ბარგია და ხელახლად რკინ-
 სებური მტკიცე ნაბიჯით, პროლეტარულ
 მწყობრ რიგებათ გამოვალთ ბრძოლის
 ველზე. ჩვენი პარტია, რომელიც სას-
 წაულებრივი, ცხოველყოფელი, პროლე-
 ტარული ენერჯის წყარო—აღსდგება
 გამოვინზღებულს და ასჯერ გაძლიერებუ-
 ღა, რადგან ჩვენი პარტია არის კომუნის-
 ტურის პროლეტარიატის პარტია.

ჩვენ მომავალში დიდი გაჭირებები
 მოგველის. ამიტომაც ყველაზე უწინ ჩვენ უნდა
 მოვაშალოთ ჩვენი პარტია. ჩვენს პარ-
 ტიას პასუხის მეგებლობა აქვს დაკისრე-
 ბული, მთელი მუშაობა მის ხელშია. და
 მტრის უმთავრესი იერიშებიც მისკენ
 არის მიმართული. და როდესაც ბორო-
 ტი და მოხთხითე ქვემძრომები თავის
 უმჯანო თითებს უწვანენ ჩვენი პარტიის
 მტკიანთ ადგილებს—ჩვენ შეგვიძლია
 მიუთითოთ მათ ათასობით ჩვენს ამხა-
 ნაგებზე, რომლებიც პირველ რიგებში
 იბრძვიან. ჩვენი მოხალისე კომუნისტის
 ერთი წვეთი სისხლი, ან და მისი დე-
 დის ცრემლი მილიონჯერ უფრო ძვი-
 რათ ღირს, ვიდრე ნახევრად ბურჟუა-
 ზიულ ძნა-ბიჭების გამოპოტებულ კრი-
 ტიკული ლყაბობა.

ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით ჩვენი
 სენი. ჩვენ უწამლებთ მას თვითონ, რად-
 გან მის განკურნებაში ჩვენზე უკეთ
 არავინაა დანტერესებული.

ჩვენ ამას უპირველესათ ყოვლისა მოვიქ-
 მდებთ პარტიაში მუშაობის გაძლიერე-
 ბით, რაც ერთ ამხანაგზე არ უნდა
 დავიწყოს ის, რომ მომავალ კვირაში
 უნდა შეუღღეთ პარტიის გასამტკიცებ-
 ღათ ენერჯულ მუშაობას. ეს—ყველაზე
 უფრო პასუხსავები მუშაობაა.

ამ მუშაობის გვერდის ავლა არავის

არ შეუძლია. ამას არც არავინ
 იხამს, რადგან ცოცხალია ის ღვთაებ
 რივი სული, რომელიც გაქვდნთილია
 კაპიტალისადმი ზილის გრძობით და
 ჩვენი პარტიისადმი სიყვარულით, რაც
 იძულებულს ხდის ყოველს ჩვენს ამხა-
 ნავს იბრძოლოს და იტანჯოს, იბრძო-
 ღოს და გაიმარჯვოს ჩვენი პარტიის
 წითელი დროშის ქვეშ.

ბ. ბუხარინი.
გვ. „პრავდა“ № 206.

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა

მეხუთე სხდომა.

(დასასრული ამხ. პავლოვიჩის მოხსენე-ბისა. იხ. № 64).

რასი მდგომარეობს საბჭოთა რუხეთის ძლევა-მოსილების წყარო.

აღმოსავლეთის მშრომელი მასები
 უნდა აჯანყდენ შინაურ და გარეშე
 მტრების წინააღმდეგ. მაგრამ აღმოსავ-
 ლეთის ხალხებს მარტო თავისი ძალე-
 ბით, მსოფლიო რევოლიუციონურ პრო-
 ღეტარიატის დაუხმარებლათ არ შეუძ-
 ღიათ განთავისუფლდენ მოძალადეების
 ჩაგვრისაგან. 1905 წლის რუსეთის რე-
 ვოლიუციის ისტორია, 1908 — 1910
 წლების — სპარსეთის, ოსმალეთის და
 ჩინეთის რევოლიუციები, რომლებიც
 დახმარება სავრთავროისო კაპიტალიზ-
 მის ძალამ, რუსეთის 1905 წლის რევი-
 ღიუცია ხომ საფრანგეთის ბირჟამ და-
 ამარცხა, რომელიც რუსეთს მილიარ-
 დობით (ფრანკებს) უგზავნიდა, საბჭო-
 თა რუსეთის ისტორია, რომელიც (რუ-
 სეთი) ძლევაშია მისი იგრიბს მსოფ-
 ღლი იმპერიალიზმის იერიშებს—ყველა
 ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა ძნელია
 მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ
 ბრძოლა და რა პირობებია საჭირო
 მასზე გასამარჯვებლათ.

ამხანაგებო! არ უნდა დავივიწყოთ ის
 უბრალო კემშირებებ, რომ აღმოსავ-
 ლეთის ხალხები ვერ მოიპოვებენ თავი-
 უფლებებს ისე, თუ ისინი არ შეუერთ-
 დენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატს.
 ინგლისი, ეს ეკონომიურათ და სამხედ-
 რო საშუალებებით ძლიერი ორგანიზმი,
 რომლის წინააღმდეგაც სავრთო ძალე-
 ბით ჩვენ ვიწყებთ გადამტკიცებ ბრძო-
 ღას—შეიძლება დამარცხებულ იქნას
 მსოფლიო ინგლისის პროლეტარიატის
 დახმარებით.

რასი მდგომარეობს საბჭოთა რუსე-
 თის ძალა, როდესაც ის ეომება კაპი-
 ტალისტურ სახელმწიფოებს? რით აიხ-
 სნება ის ფაქტი, რომ ეს ქვეყანა სიმ-
 შილის და სიცივის ჯაჭვზე მიბმული,
 ყოველმხრიდან ბლოკადის მავთულ ხლა-
 რით შეგვიღებული—უკვე სამი წელი-
 წაღია იტანს მთელი ქვეყნის ყველაზე
 უფრო ძლიერ სახელმწიფოებთან ომს?
 ეს აიხსნება იმით, რომ დიდი და
 ყველაზე უკეთესი ინგლისის, ისპანიის,
 საფრანგეთის და იტალიის პროლეტარ-
 იატის ნაწილი, რომლის წარმომადგენ-
 ღებს თქვენ აქ ხედავთ—ჩვენთან არიან.

ეს ნაწილი არ ეხმარება თავის კაპიტა-
 ღისტურ მთავრობებს საბჭოთა რუსე-
 თის გამოვლენის საქმეში. საბჭოთა რუ-
 სეთის ძლევაშია მისი წყარო იმაშია,
 რომ მას თანაუგრძობს სავრთავროისო
 პროლეტარიატი. რითი, აიხსნება ის
 თანაგრძობა? მით, რომ რუსეთი—
 პროლეტარიატის ქვეყანაა, ეს არის
 საბჭოთა მთავრობის ქვეყანა. ევროპის
 მთავრობებს უკვე არა აქვთ შესაძლებ-
 ღობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ

გამოგზავნონ თავისი ჯარები, ამიტომ
 ისინი ყიდულობენ სხვებს, როგორც მა-
 გალითად: პოლონეთს, მეამაშულებს,
 ჩხო-სლოვაკებს და სხვებს. თუ რომ აღ-
 მოსავლეთის ხალხებს სურთ, რომ მათ
 დავებმართოს სავრთავროისო პროლეტარ-
 იატი, ამ შემთხვევაში მათ უნდა იბრ-
 ძოლონ საბჭოთა მთავრობისათვის, იმ
 პრინციპების განსახორციელებლათ, რო-
 მლებიც წამოაყენა საბჭოთა რუსეთმა.
 თუ რომ კაპიტალისტურ სახელმწიფო-
 ებს, სადაც იარაღის ქვეშ იმყოფებიან
 მილიონი ადამიანები, არ შეუძლიათ
 თავისი ჯარები გამოგზავნონ საბჭოთა
 რუსეთის წინააღმდეგ, ეს აიხსნება
 იმით, რომ ევროპის მუშებისათვის საბ-
 ჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა,
 არის ბრძოლა, არა მარტო რუსეთის
 პროლეტარიატის წინააღმდეგ, არამედ
 ეს არის ბრძოლა საერთო (ევროპის)
 პროლეტარიატის წინააღმდეგაც.

საფრანგეთის და ინგლისის მუშების
 თელახარით რუსეთის წინააღმდეგ
 ბრძოლა—ეს კლასიურ თვითშეკვლეო-
 ბას ნიშნავს (ტაში). მაგრამ, იგივე ინ-
 გლისის მუშები, რომლებიც თავის მთავ-
 რობის საწინააღმდეგოთ (იმ შემთხვე-
 ვაში, თუ რომ ის საბჭოთა რუსეთის
 წინააღმდეგ გაილაშქრებს) აღვინჩენ „მო-
 ქმელების კომიტეტებს“, ნაკლებათ გა-
 მოვხმარებენ ირლანდიის ამბებს, სადაც
 სწარმოებს სამკვიდრო სასიცოცხლო ომი
 ინგლისის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ირ-
 ღლანდიის საწინააღმდეგოთ თვითგამორკვე-
 ვისათვის. უბრალო ინგლისის მუშას
 უკეთეს შემთხვევაში შეუძლია თანაგ-
 რძობა გამოუცხადოს ირლანდიელებს
 თვითგამორკვევისათვის ამ მძიმე ბრძო-
 ღაში, მაგრამ ირლანდიის ამბებს არ
 შეუძლია ენტუზიზმის ცეცხლი დაანთ-
 ეთ ინგლისის, საფრანგეთის და იტა-
 ღიის პროლეტარიატის გულში. ირ-
 ღლანდიის ბრძოლის არ შეუძლია შეარ-
 ხიოს გრძობის ის სიძნობი, რომლებზე-
 დაც ასე მძლავრად სცემს რუსეთის ხალ-
 ხის—მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღ-
 მდეგ ბრძოლის ხმა.

მართლაც და, დაუშვით რომ დამოუ-
 კიდებლობისთვის მეტროფ ირლანდიე-
 ღებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს—მოი-
 პოვეს ირლანდიის დამოუკიდებლობა,
 მაგრამ ხელზე დამოუკიდებელი ირლან-
 დია ჩავარდება ამერიკის კაპიტალის ან
 საფრანგეთის ბირჟის ხელში.

შეიძლება ერთი ან ორი წლის შემ-
 დგე ირლანდია შეუკავშირდეს რომე-
 დიმე მსოფლიო მძარცველს და ინგლი-
 სის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს
 წინააღმდეგ სისხლის მღვრელი ომი აწა-
 რმოვოს ბავრისათვის. ქვეანხარის და
 რკინის მანქანისათვის, აფრიკაში რო-
 მელიმე ნაჭერი მიწის მოსაპოვებლათ და
 სხვა. ამ რიგათ ინგლისის, ირლანდიის,
 ამერიკის და სხვა ქვეყნების მუშები
 ისევ შეგებობებიან ერთი მეორეს კა-



ხელი, მწერლობაში როგორც შესანიშნავი ნიჭის პატრონი, მისი პიესები ახლაც აღფრთოვანებს სოფლის მუშის გულს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს იყო ოდესღაც... ახლა კი მას ღარიბ ხალხის საქმეს სრულებით არ ინტერესებს... ღარიბი ხალხი სწორედ ახლა საჭიროებს კითხვას წინამძღოლს, ჭზის მაჩვენებელს, დამრიგებელს, კარგ გზაზე დაყენებულს, ავის და კარგის გამჩიველს, სოფლას მუშის მესაიდუმლეს... აი სწორედ ასეთ დროს ბ. გომართლი სოფელიდან არ არის, ის მათ დაუმორდა და თბილ ალაგებში მოკვდა... დამფუძნებელ კრებაში და სხვაგან მას საპატიო ალაგის უტირავს... ღარიბი ხალხი მეწყერსაც კი წაუღია.

აი ვინ და რა ადამიანი თანამშრომლობს იმ „სოფლის მუშაში“ აი ვინ „აკრიტიკებს“ ბალშევიზმს და მას საწინააღმდეგო...

დაჩაგრული.

პარტიული ცხოვრება.

ს ა ლ ა მ ი

აღფრთოვანებით მივესალმებით ბრწყინვალე დღესასწაულს, აღმოსავლეთის ხალხთა დიდებულ საისტორიო ყრილობას. გვახარებს ათასი წლობით ჩავგრა მონობაში მყოფ აღმოსავლეთის ხალხთა მეკვდრეთით აღდგომა.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ევროპის პროლეტარიატის წარმომადგენელ ამხანაგებთან ერთად შეაერთებთ აღმოსავლეთის მრავალ მილიონ ტანჯულ მასას მე-3 კომინტერნაციონალის დროშის ქვეშ, მთელი ქვეყნის მხარვედრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გუმბარჯოს მე-3 კომუნ. ინტერნაციონალს!

გუმბარჯოს მუშათა და გლეხთა სოლიდარობას!

ს. კ. ბ. გორის სამაზრო კომიტეტი.

30 სექტემბერს შესდგა საქართ. კომ. პარ. გორის სამაზრო კომიტეტის სხდომა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) კომიტეტის ახალი არჩევნები; 2) პრეზიდიუმის არჩევნები; 3) საშუალო

ნებდათ უხატავს სოფლის მუშებს... მუდამ დაუღუპელი ბერივით ლოცულობს: „ღმერთო მოსპე ზალშევიკები და მათი სასენებელიო...“ დანარჩენებიც, რომლებიც იმ სოფლის მუშაში თანამშრომლობენ არიან გომართლივით მერყევი ხალხი, რომლებიც ხან აქეთ და ხან იქეთ ეხეტებოდნენ და ნავთსაყუდელი კი ვერ მოუხანავეთ. აბა რა ქნან რით მოაწონონ მენშევიკებს თავი თუ არ ზალშევიკების ლანძღვა-გინებით... რომ მათი მოწყობა მიიღონ და საღმეთელ ალაგზე წამოსკუპდენ. ზალშევიკებით უნდა გაიხარა, რომ ეს „სოფლის მუშა“, იგივე მენშევიკების კვირული ცენტრალური ორგანოა და მას ღარიბ ხალხთან მშრომელ მასასთან არავითარი კავშირი არა აქვს... დანარჩენი შემდგომ...
დაჩაგრული.

გეგმა; 4) მიმდინარე კითხვები.

კომიტეტი იქმნა არჩეული 7 ამხანაგისაგან. პრეზიდიუმი იქნა არჩეული 3 პირისაგან. საშუალო გეგმის შესახებ მისამართი დადგინა: მიღებულ იქნეს იაჩეიკური სისტემა, ჩამოყალიბდეს რამდენიმე იაჩეიკა და დაუზოგველ ენერგიით გაგავრძელოთ მუშაობა.

საქ. კომ. პარ. გორის სამაზრო კომიტეტი.

პ რ ო ტ ე ს ტ ი

კომიტეტმა იქონია რა მსჯელობა სომხეთში თეთრი ტერორის შესახებ, დაადგინა:

გამოეცხადოს სასტიკი პროტესტი დაშინაკვანსურ მთავრობას, სომხეთში მშრომელ მასის ბელადების მესაფლავებებს. დღე ძრწოდენ და კანკალებდენ სისხლში გასვრილი მესაფლები. სასტიკ პასუხს აგებინებენ მიმავალში გამარჯვებული მუშა-რევოლუციონერების მესაფლავებებს.

საქარ. კომ. პარ. გორის სამაზრო კომიტეტი.

ბი“ უყურადღებობის გამო სრულიად გადამგრალია, არაფერს არ ენბარება მომუშავეთა გაჭირვებას მათი მსგებვრნი ბატონ კაძეები და ლაძეები და ძმნი მათი არაფერ ყურადღების არ აქცევენ. ის რაც სასიცოცხლო იყო ამ ცხენში, კარგად ხანა რაც თავიდან მიიზარეს: ზოგი ცხენებში დაიხოცა, ზოგი დღესაც ზის და დანარჩენი ქუჩაში გაყარეს. დარჩენ თეთონ და თავისუფლათ პარპაზობენ, არაფის შიში არ აქვთ.

დანარჩენი მუშები ისეთ მუხრუჭში მოაქციეს რომ, აბა და გაბედავს ხმის ამოღებას!

მიუხედავად ყველა ამისა ჩვენ, მუშები, მაინც მოვიხივებთ ჩვენ ბატონებისაგან, მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ყველა ამას.

არ კმარა მარტო მუშების დევნა და სხვისი გინება.

დაიხედეთ თქვენს თავზეც.

ლაუღებარი.

სასდგარ-გარეთ

ესტლიანდიაში პროფესიონალური კავშირების ბრძოლის მოკლე მიმოხილვა.

(დასასრული იხ. „ახ. კომ“ № 64)

რომ გადავხედოთ რევოლუციის პროფესიონალურ კავშირების და ცენტრალურ საბჭოს სხდომის ოქმებს, დავინახავთ ჩვენს „დემოკრატიული“ სინამდვილეს. აი, სოციალისტურ მთავრობის განკარგულებით პროფესიონალური კავშირების ბრძოლა ჩამოსხნეს წითელი დროშა, რომელსაც ეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“—სხდომა პროტესტს აცხადებს და მოითხოვს რომ ჩამომხსნელმა დროშა ისევ თავის ალაგას აღმართონ. აი პროტესტიც სოციალ დემოკრატების ახრანკების პროფესიონალურ კავშირებში სტუმრობის და პროფესიონალურ კავშირების წევრების „ობრანკაში“ დაბარებების წინააღმდეგ, და ამაზე დადგენილება: „პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭო ამით აუწყებს რესპუბლიკის მთავრობას, რომ მუშათა წარმომადგენლები მუშათა ინტერესების დასაცავად არიან არჩეული და არა იმით, რომ „ობრანკაში“ ირბინონ, და მოითხოვს, რომ მუშათა წარმომადგენლებს ნუ აწუხებენ“. ამნაირათ, მშენებარებს დაუსრულებელი, მკაცრი ბრძოლა. მაგრამ აი მასიური გამოხატვა. პროფესიონალური კავშირები და ფარული რევოლუციის კომუნისტური ორგანიზაცია შეერთებული ძალებით იძულებულს ხდიან სოციალ დემოკრატის—თავის მრევლს საპირველმართო პაროლათ მისცენ: „სახლში დაიკადით!“ მუშები—კომუნისტები, დიდი კმაყოფილებას გრძობთ, ამბობდენ: „კაინებს მაინც შერცხვით!“

მისის მეორე ნახევარში, როდესაც მწიფდებოდა ეკონომიური გაფიცვები, გელაიტა ცენტრალური საბჭო გარეკა და ამის სახეობა უხიბრცხვილოთ ის მოეყვანა, რომ მას დამტკიცებული წესდება არ ჰქონდა.

მ ივლისს რევოლუციის პროფესიონალური კავშირების და ფაბრიკა—ქარხნების მამასახლისების შეერთებულმა სხდომამ დაადგინა: მესამე ინტერნაციონალის დემოკრატიული ყრილობაზე თავისი მოთხოვნები წამოაყენოს, თუ მთავრობა არჩეულ დღეეგატის პასპორტს არ მისცემს, გაეგზავნოს მინდატი მოხუცეს სტონის კომუნისტ—პუბლიცისტს, სსზ-ღვარ-გარეთ მცხოვრებს, ანს. გ. პოგელ-მანს, რევოლუციის პროფესიონალურმა კავშირებმა მესამე ინტერნაციონალში შესვლის უფლება თავისი საუკეთესო წარმომადგენლების მსხვერპლით მოიპოვეს.

III

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სასოფლო-მეურნეობის მუშებს შორის პროფესიონალური მოძრაობის განვითარების საფუძვლები. პირველათ სოფლებში პროფესიონალური კავშირები 1919 წლის დასაწყისში წარმოიშვნენ მენშევიკების ინიციატივით. მათ ისარგებლეს თეთრი ტერორის სუსხიანი დღეებით და მოინდომეს მოეწყობათ თავისებური კავშირები. მაგრამ პროფესიონალური კავშირებში პირველ ყრილობაზე მხოლოდ 10 დელეგატი (სასოფლო მეურნეობის მუშებისაგან, როგორც მენშევიკი, სტაგებს ყრილობას.

მთელი შემადგენლობის სამი მეოთხედი ყრილობაზე რჩება. ყრილობის ყველა დოკუმენტები გულაატს სამხედრო დავლათ ჩაუბრდა, პრეზიდიუმის წევრები დახოცეს.

მ—10 მაის რევოლუციის, სასოფლო-მეურნეო მუშების პროფესიონალური კავშირების ყრილობა შესდგა. წარმომადგენელი იყო 88 კავშირი 141 დელეგატი. ყველა კავშირები 119 იყო. სინტერესოა დეტალი: მხოლოდ 12 კავშირი აღმოჩნდა, რომელიც „სოციალ-დემოკრატს“ იწერდა.

ამ ყრილობამ მენშევიკებს არც ერთი რეზოლუცია არ მიიღო. ამ ყრილობაზე სოფლის პროლეტარიატის რევოლუციონური სულისკვეთება დღითი დღე ქვეითდება, რის დაამტკიცებულა, მიუხედავად ვაფრთხული დევნისა, სოფლათ კომუნისტური ორგანიზაციების სწრაფი ზრდა. ამ პროცესს ესტონის მუშათა კლასის განმანათავისუფლებელი მოძრაობაში დიდი გავლენები მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ქალაქის მუშათა კლასი მრეწველობის დაქვეითების გამო, რიცხვით ძალიან სუსტია, რათა ბურჟუაზიას სასიკვდილო ლაზვარი ჩასცეს.

ესტლიანდიის კომუნისტი. რევოლუციის, 1920 წ.

პროფინსიის ცხოვრება.

ტიპური თემი.

(ხილისთავი გურია).

წელწაღზე მეტია, რაც ხილისთავის თემი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მას არაფერი არ გაუკეთებია, გარდა წახდენისა. თუ რა უნდა გაეკეთებია, რაზე უნდა ყოფილიყო ამ თემის ყურადღება მიწყობილი ამას თვით ამ თემის მდგომარეობა და მდებარეობა გვაჩვენებს. საზოგადო გურია ორგანიზაციის შემოსავალი არსებობს: დასავლეთ გურიაში ბლომით არის საყანე მიწები და ხენა თევზის მისდევენ. აღმოსავლეთ გურია კი უფრო ხილვითობით და ყურბანით არის ვანაქში და ეს უნდა ჩინთავალს გურის საარსებო უმთავრეს წყაროება.

ხოლო ხილისთავის თემი ერთსაც და მეორესაც მოკლებულია და აი სწორედ ამიტომ, რომ ის დიდ გაჭირვებას განიცდის, დიდ უმწიფო მდგომარეობაში იმყოფება სხვა თემებზე შედარებით. ამასთან ისე უბედური დარჩა ეს თემი მენშევიკების ხელში, რომ ერთს ისეთ ორგანიზაციულ-ადმინისტრატორს ვერ ეღირსა, რომელსაც ეფიქრა ამ თემის უმწიფო მდგომარეობაზე, რომელსაც ცნობდა, ამ მდგომარეობიდან გამოსავალ გზაზე.

გამოსავალი გზა, რომელსაც შეუძლია ხილისთავის თემი უზრუნველჰყოს, ეს არის მდინარე გუბაზულის გადმოშობა. ამაზე 8 წელიწადზე მეტი ლაპარაკია. გლეხობა დიდად მონდომებულია, ისინი არ იშურებენ არც ფულს არც შრომას, ყველაფერ ზომას მიიღებენ ყველა, როგორც ერთი, ოღონდ წყალს კი ეღირსონ რაც მათთვის აუცილებელია, როგორც ჰერბ. არა მარტო მიწის მოსაწყობებლათ, არამედ შინაური ცხოველები-ფრინველების მოშენებისათვის. საფუძვლობით საქონელი უწყობას გამო ჩამდგარი ნოყრა წყლით ილუპება, უჩნდება პეპელა და სხვა ათასგვარი ჭირი. დიხს, რომ წყალი ღირსებდა ამ თემს, მოირწყებოდა რამოდენიმე ათასეული ქცევა მიწა და სიღარიბიდან ამბოვდოდა.

და, როდესაც ამაზე ჯერ კრინტიც კი არ დაუძრავს გამგებობა ჩვენ ვეკითხებით, მაშ რა ვააკეთეთ? თუ შეიძლება მთელი თქვენი მოღვაწეობა გუბაზულზე ხიდის აგებებსა მოანდომეთ? რომლის ფონდის შეგროვება უხსოვარ დროიდგან დაიწყეთ ხიდის თემში (და ბოროტი ენები ამბობენ 20,000 მანეთი შექმნილი) საინტერესოა რა ბედი ეწვია? მაგრამ სულ ერთია სადაც არ უნდა იყოს, რადგან, მის შემდეგ ბევრმა წყალმა განწლო და ფონდმაც თქვენს ჯიბეში დალია სული, არა, ხილისთავის თემი არ მოტყუებულა როდესაც 2800 ამრჩეულში 600 კაცმა მოგცათ ხმა. მაგრამ თქვენ თუკი მაინც კანონიერათ გამოაცხადეთ, იმ პირობით, რომ იან ვარში 1920 წელში ხელახალი არჩევნებში

ბი უნდა მომხდარიყო. მაგრამ თქვენ ჯერაც არ ფიქრობთ არჩევნებზე, რადგანაც დარწმუნებული ბრძანდებით არც ის ექსპანსიო კაცი მოგცემთ ხმას ყველა ამ თქვენი ერთი წლის, „მოღვაწეობის“ შემდეგ, რაც შეუწყვეტილ ინტრიგებში გამოხატება და თავმჯდომარეების კრიზისში. ერთი ბოლშევიკების დევნას გადაყვა, მეორე ინტრიგას, ხოლო მესამე სიმინდის კაკალს. და ასე ამ რიგით ხოლოდ ამაში გამოიხატებოდა მათი მოღვაწეობა.

პარლეტარი.

ჩვენი ფოსტა

კალე ფოფინის ფოსტა: არ გამოგვადგა. გამოგზავნეთ ადგილობრივ მუშათა ცხოვრებიდან.

პროლეტარი: ხშირ-ხშირათ გამოგზავნეთ კორესპონდენციები.

დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.

განცხადებანი

გ ა მ ო მ ც ე ე ლ ო ბ ა

„წითელი პარსკვლავი“

გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკები). ფ. 3 მ.
2. 5. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერნაციონალი მომავლადი და ინტერნაციონალი ამომაგალი. ფ. 5 მ. 4.
3. მ. კასპიელი. ვინ სტუდის? ფ. 10 მ.
4. 5. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ფ. 5 მ.
5. 6. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.

იბეჭდება:

7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუნისმის ანბანი.
9. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლუცია.
10. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონალური კავშირები.
11. მინინი. რელიგია და კომუნისმი.
12. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
13. 5. გექტორი. რით აისხნება რუსეთში სოციალისტი. რევოლუციის აღვლად გამარჯვება.
14. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნ. ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი 1850 წ.
15. კ. მარქსი. საშუალოე ომი საფრანგეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 8, მეორე სართული, ტელ. 9—81.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დღის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 8, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დღის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135. ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). ბიურო ღიაა დღის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წვერების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დღის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წვერების ჩაწერა და ძველი წვერების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დღის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

მუშათა ცხოვრება.

ჩვენში.

მუშების განცხადება.

ჩვენ, მთავარ სახელისნო ვაგონის ცეხის მუშები მოვიხივებთ ადმინისტრაციისაგან რომ როგორღე მაინც ურგვიმსლუპუნ მიიმე ტვირთი: მოგვიწყვეთ და გადაგვიხურეთ სამუშაო ბინა. ეს არც იმდენ ხარჯებს გამოიწვევს. კი მოიპოვება ჩვენს რესპუბლიკაში იმდენი სახურავი „უესტი“ რომ ამ „სარაიებს“ ეყოს.

აგრეთვე იქმნეს მოწყობილი აბანო, მიეღი თვის მოწყობილობით.

ეს ელენენტარული მოთხოვნაა და იმიღი გვაქვს მიაქცეეთ ყურადღებას. ზამთარი ახლოვდება, საქმე არ იცდის. ვაგონის ცეხის მუშები

საქართველოს რკინის-გზების მთავარ-სახელისნოს მდგომარეობა.

სავაგონო ცეხი.

არ შემიძლია გულ-გრილათ უყურო იმ ცეხის მდგომარეობას, რომელშიც მე მუშაობ.

მინდა ამ მოკლე წერილში ვაკვირო მივუთითო მის დღევანდელი მესვეურებზე.

ეს სახელისნო ცენტრი იყო და უნდა იქნეს მთელ ამიერ-კავკასიისთვის და დარგში. ეს საქართველოს „პიტრია“— და თუ ამ „პიტრის“ მდგომარეობა ასეთია, რა უნდა იყო სხვაგან?

ამ სახელისნოში ომამდის მუშაობდა შედილთასამდე მუშა. ახლა-კი დაყვანილია ორი ათასზე დაბლა, კერძო-კი სავაგონო ცეხში ითვლებოდა ორი ათასამდე, დღეს ძლივსა არის სამასამდე.

ამ ცეხის დღევანდელი მესვეურთ. როგორც სხვა მათ ძმანებს, არ ავიწყდებათ რუსეთის ვინება: ყოველ გზა-ჯერადინზე ვაიძიხიან:

— რუსეთი დაიქცა, არ არსებობს ტრანსპორტი, წარმოება განადგურებულია, და რამდენი სხვა.

ამ გენიისებს შეუძლიათ შორს გა-

დახედონ კავკასის მთებს იქეთ, დიდ რუსეთის მდგომარეობას, რომელმაც ვინ მოსთვლის რამდენი გაჭირვება გამოიარა მომავლის საბედნიეროთ, როდესაც ესენი გულ აღმა გორავდენ.—მართალიც რომ იყოს ყველა ეს, მათ არ ვაემტუნ ზათ.

მაგრამ რა ხდება ჩვენს „მშვენიერ“— „ოაზისში“ როდესაც მისი მსგებვრნი შორს მიდიან და ახალს კი ვერაფერს ამჩნევენ? რომელმაც მთელ ქვეყანას „წინ გაუსწრო“?

რომელიც შეიქნა „თითის საჩვენებელი“ მთელი მუშათა კლასისთვის სადაც „შემოქმედება და არა ნგრევა როგორც სხვაგან“!

ჩვენი ბატონ-პატრონი მოსვენებას არ გვაძლევენ თავიანთ შემოქმედების ქებით, მაგრამ ერთი ვიკითხოთ რა არის შექმნილი?

ყველამ იცის და მკითხველიც მიხედება, თუ რომდენათ დაცემულია წარმოება ამ სახელისნოებში. მაგრამ იქნებ მკითხველმა იფიქროს: ჩვენ პატარა საქართველოს ალბათ მეტი არ ესაჭიროება,— და მუშების მდგომარეობა, როგორც ეკონომიურათ, ისე პოლიტიკურათ რიგზე იქნებ ამასაც ვაიგებთ?

დღევანდელი ამ სახელისნოს მდგომარეობა, განსაკუთრებით კი სავაგონო ცეხის აუწყრელია.

ეს ცეხი მდებარეობს სულ განაპირას, ავკალისაკენ. ამ ცეხში მზადდება ვაგონები, როგორც სახეაგრო, ისე საბარაგო. ნაწილი მუშებისა მუშაობს სახურავ ქვეშ, უზრავლსა კი მიწაღობში. საშინელი სურათია ზამთარში: თითქმის ნახევრათ შიშველი მუშა გამდგარი წვიმაში, თოვლში, ქარში და მუშაობს ქედ მოხრილი საცივით აკანკალებული.

ზაფხულში—პირიქით გამდგარან მზეში, რომელიც თაყალებს უწვამს და სულს უხუთავს.

ყველა ამისათვის მიუქცევა ძველ მართელობას ყურადღება და გაუშენებია „სარაიები“—მაგრამ დღეს ეს „სარაი-